



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველოს ეკისაზღვის  
ცენტრი ბიბლიოთეკა

# რაფიელ ერისთავი

## კრებული

რაფიელ ერისთავი  
კრებული

## ნეტა რას სტირი, დედილო?

(აღა-მაჰმად-ხანის დროის)

ნეტა რას სტირი, დედილო? რას ჩამომჯდარხარ კერასა? ასი მკრან გულში, მირჩევნის, მტირალი ქალის ცქერასა! ნეტა რას სტირი, დედილო? რას სტირი, ძუძუს ჭირიმე? ჯარს იძახიან, დედილო, — სად არის ჩემი ხირიმი? თათარი შემოგვსევია, სწოვს და აოხრებს ქვეყანას, ე-მა ქოხს თავზე დაგვაქცევს, ვენახს მოგვითელს და ყანას. ნეტა რას სტირი, დედილო? — რა დროს გლოვაა შვილისა? გულში მკრეს, ორგან გახვრიტეს ჩემი პერანგი შილისა. ნეტა რას სტირი, დედილო? დე აქ ვეგდო ღელოში, ხომ ვერა ჰნახავ ურჯულოს, ვეღარსად საქართველოში? ნეტა რას სტირი, დედილო? ჯერ ვერ წამოვალ შინათვენ, მე აქ ვიგერებ ყვავ-ყორანს, თვალი მიჭირავს იმათვენ... ნეტა რას სტირი, დედილო? სახლზედ იყავი ფრთხილადა, ირმა ხარს მოუარევი, მარილს ალოკე ხილადა. ყანა გამარგლეთ ბეჯითად, არ მოერიოს ჭიოტა, ე პაწა არ დამიმშიოთ, ფოცხვერს არ დამიჭმიოთა!.. ჯერ ნურას ეტყვი შენს რძალსა, ბალლია, ამიტირდება. შობამდის დავავიწყდები, აღდგომას გამიფრინდება!.. ნეტა რას სტირი, დედილო? რას ჩამომჯდარხარ კერასა? ასი მკრან გულში, მირჩევნის, მტირალი ქალის ცქერასა!..

1881 წ.

## ბაჩანას პასუხად

გადმახალისა, ძმობილო, შენგან ნასროლმა იამა, შენი ფანდურის ჟღერაი მოხუცს გულს მეტად იამა!.. ყური დავუგდე სიმებსა: დამიტკბეს ბერი სულია, გადამახედეს ფშაველში, მთლად ამიჩქროლეს გულია!. მასმინა შენმა ფანდურმა მთის ყვავილების ქებანი, “ფშაური ქალის ტირილი” და “ტყვის სიმღერით” შვებანი... ბაასი ბებერ “მუხასთან” ალმასებრ ლექსით მსმენია, დავღონებულვარ ბეჩავი, ცრემლი ვერ დამითმენია!.. შენ

დამანახვე, ძმობილო, “მგზავრის საღამო მთებშია”, — ფრთები დავუშვი  
მე დაბლა, ვეღარ მოგყვები ფრთებშია: შენ ყმაწვილი ხარ, მე — ბერი,  
ღმერთმა გიკურთხოს ჩანგია! მაწაფე, მოძმევ ახალო, ბერსა ახალი ჰანგია!

1886 წ.

### ტეტიას მოთქმა

ნეტა რა წყალში ჩავვარდე, რით გამოვკვებო ცოლ-შვილი? ი დასაქცევმა  
სეტყვამა კარს მომაყენა შიმშილი!.. რას ვიფიქრებდი ბეჩავი? — ცა  
კამკამებდა ლურჯადა, სამი დღის ყანა, სამკალი, ზედ კარზე მედგა  
ბურჯადა. უცებ გამოჩნდა პაწაწა, მუშტის ოდენა ღრუბელი მერე  
გადიდდა, იგრგვინა და წამოვიდა სულ ბნელი... დასავლეთიდან  
დაჰბერა, წამოგვაყარა კოხია, ბალლები დამიწიოკა, მოაძებნინა ქოხია,  
ისროდა მუშტის ოდენსა და გრიალებდა წყეული, მირეგ-მორეგვა ხე-  
ხილი, გაწყალდა ანაზდეული!.. ყანა წამიხდა, რა ყანა, ავ თვალს არ  
ენახვებოდა, თავ-თავს ქვეშ იზნიქებოდა, სიმძიმისაგან წვებოდა!.. ნეტა  
რა წყალში ჩავვარდე, რით გამოვკვებო ცოლ-შვილი? — ი დასაქცევმა  
სეტყვამა კარს მომაყენა შიმშილი!..

1883 წ.

### კაცი ის არის

კაცი ის არის, ვინც მისდევს დიდის მოძლვრისა მცნებასა, ვინც მომმეს  
გულსა გაუხსნის, თავს აუცილებს ვნებასა, ქვრივ-ობლებს ცრემლებს  
მოსწმენდავს, მოუსპობს გაჭირვებასა, იბრძვის და იბრძვის ერისთვის,  
ქვეყანას მისცემს შვებასა! კაცი ის არის, ვინც მამულს გამოადგება  
შვილადა, ვისაც სამშობლო ტაძრად აქვს, თავი — სამსხვერპლო წილადა,  
ქვეყნისა ცრემლი ჭირად უჩნს, მისი ღიმილი — ლხინადა, ვინც მისთვის  
თავსა შესწირავს, მას შამოავლებს ფთილადა! კაცი ის არის, ვინც მამულს  
ეტრფის და ეთაყვანება, ვისაც ვერ დასძლევს მტრის ოქრო, ვერც მისი

მკაცრი ბრძანება, ვისაც სამშობლოს ოხვრისთვის ლომ-გული  
მოეფხანება, ვინც დასთხევს მისთვის წმინდა სისხლს, მოწამეს  
დაეგვანება!

1886 წ.

### თინიას მამითადი

მამითადი ჰყავს თინიას, დღეს არის ამის ლხინია, ციბრუტივითა  
ტრიალებს საწყალობელი თინია!.. ქვრივ-ოხერს, ბეჩავ თინიას, ჰყავს  
ერთად-ერთი შვილია, პაწია, წვითა და დაგვით, ვაებით გამოზრდილია.  
დღის მეხრე იყო, მოუხნეს ერთი დღის მიწა ნაოში, მაგრამ სათესლე  
გაჭირდა, არ გახლდათ საკუჭნაოში!.. ჩამოითხოვა თინიამ

ოროლი მუჭა ხორბალი, მოთესა, უცებ ზღვა გასკდა, შიგ დატრიალდა  
ღვთის თვალი: თავთავმა თავი დახარა, ყველამ გალესა ნამგალი, თინას  
კი გული უსკდება, ვინ მისცა იმას მომკალი? თუ სანახევროდ სხვას  
მისცა, რაღაა გასაყოფელი? თუ არა, ღონე არა აქვს, მისი ღონეა სოფელი...  
ჩამოუარა სოფელსა, სთქვა: “ყველას დავეღრიჯები”. დილა-ადრიან  
მოადგნენ კარზე რჩეული ბიჭები, “ჰოოპუნათი”, კიუინით მოედვნენ  
ქვრივის ყანასა, არ შევხვედრივარ მამითადს მე არსად ამისთანასა!.. თინა  
მასპინძლობს გულ-უხვად მოუტანია მჭადები, მაწონი, ორი დედალი,  
მუშისთვის დანამზადები... ცოტა არ იყოს, სცხვენიან, ღვინო არა აქვს  
საწყალსა, მაგრამ ზედი-ზედ უზიდავს მამითადს წყაროს ცივ წყალსა...  
“ჰოოპუნა” და კიუინი უხდება ქვრივის ყანასა, არ შევხვედრივარ  
მამითადს მე არსად ამისთანასა!.. ციბრუტივითა ტრიალებს  
საწყალობელი თინია, მამითადი ჰყავს თინიას, დღეს არის მისი ლხინია.

1882 წ.

მიპატიუება სასწავლებელში

წამოდექით, ყმაწვილებო, ტანთ ჩაიცვით საჩქაროზე, აბა, თავი მოიყარეთ სწავლისათვის თავის დროზე!.. რა ხანია მამლაყინწამ იყივლა და გაათენა, მერცხალმაც კი იჭიკჭიკა, არ დააცხრო ტკბილი ენა!.. აგერ ტყემაც გაიღვიძა, შრიალებს და რაცლას ხარობს, კოდალა ხეს უკაკუნებს, და მწყერ-ჩიტა ცაში გალობს! მინდორი და ველი ჰყვავის, ნამი ბზინავს ათას ფერად, მზემაც თვალი გააჭყიტა. ამოვიდა მათ სამზერად... ჭინჭველები ველს მოედნენ, თითქოს რაღაც ჯოგიაო, მოლალურიც გაიძახის მაღლა: “ბიჭო — გოგიაო!..” ჭია-ღუა სარჩოს ჰზიდავს, რომ გაივსოს თავის ბინა, და ფუტკარიც მიზუზუნებს ყვავილისკენ თაფლისთვინა!.. კაცი, მხეცი და ჩიტები — ყველა საქმეს ჰკიდებს ხელსა, მეთევზეა — ბადესა ჰშლის, და მუშაკი იქნევს ცელსა... წამოდექით, ყმაწვილებო, თქვენც ახსენეთ ღვთის სახელი, —

### კაცი ის არის

კაცი ის არის, ვინც მისდევს დიდის მოძღვრისა მცნებასა, ვინც მომძეს გულსა გაუხსნის, თავს აუცილებს ვნებასა, ქვრივ-ობლებს ცრემლებს მოსწმენდავს, მოუსპობს გაჭირვებასა, იბრძვის და იბრძვის ერისთვის, ქვეყანას მისცემს შვებასა! კაცი ის არის, ვინც მამულს გამოადგება შვილადა, ვისაც სამშობლო ტაძრად აქვს, თავი — სამსხვერპლო წილადა, ქვეყნისა ცრემლი ჭირად უჩნს, მისი ღიმილი — ლხინადა, ვინც მისთვის თავსა შესწირავს, მას შამოავლებს ფთილადა! კაცი ის არის, ვინც მამულს ეტრფის და ეთაყვანება, ვისაც ვერ დასძლევს მტრის ოქრო, ვერც მისი მკაცრი ბრძანება, ვისაც სამშობლოს ოხვრისთვის ლომ-გული მოეფხანება, ვინც დასთხევს მისთვის წმინდა სისხლს, მოწამეს დაეგვანება!

1886 წ.

თინიას მამითადი

მამითადი ჰყავს თინიას, დღეს არის ამის ლხინია, ციბრუტივითა ტრიალებს საწყალობელი თინია!.. ქვრივ-ოხერს, ბეჩავ თინიას, ჰყავს ერთად-ერთი შვილია, პაწია, წვითა და დაგვით, ვაებით გამოზრდილია. დღის მეხრე იყო, მოუხნეს ერთი დღის მიწა ნაოში, მაგრამ სათესლე გაჭირდა, არ გახლდათ საკუჭნაოში!.. ჩამოითხოვა თინიამ

ოროლი მუჭა ხორბალი, მოთესა, უცებ ზღვა გასკდა, შიგ დატრიალდა ღვთის თვალი: თავთავმა თავი დახარა, ყველამ გალესა ნამგალი, თინას კი გული უსკდება, ვინ მისცა იმას მომკალი? თუ სანახევროდ სხვას მისცა, რაღაა გასაყოფელი? თუ არა, ღონე არა აქვს, მისი ღონეა სოფელი... ჩამოუარა სოფელსა, სთქვა: “ყველას დავეღრიჯები”. დილა-ადრიან მოადგნენ კარზე რჩეული ბიჭები, “ჰოოპუნათი”, კიუინით მოედვნენ ქვრივის ყანასა, არ შევხვედრივარ მამითადს მე არსად ამისთანასა!.. თინა მასპინძლობს გულ-უხვად მოუტანია მჭადები, მაწონი, ორი დედალი, მუშისთვის დანამზადები... ცოტა არ იყოს, სცხვენიან, ღვინო არა აქვს საწყალსა, მაგრამ ზედი-ზედ უზიდავს მამითადს წყაროს ცივ წყალსა... “ჰოოპუნა” და კიუინი უხდება ქვრივის ყანასა, არ შევხვედრივარ მამითადს მე არსად ამისთანასა!.. ციბრუტივითა ტრიალებს საწყალობელი თინია, მამითადი ჰყავს თინიას, დღეს არის მისი ლხინია.

1882 წ.

### მიპატიუება სასწავლებელში

წამოდექით, ყმაწვილებო, ტანთ ჩაიცვით საჩქაროზე, აბა, თავი მოიყარეთ სწავლისათვის თავის დროზე!.. რა ხანია მამლაყინწამ იყივლა და გაათენა, მერცხალმაც კი იჭიკჭიკა, არ დააცხრო ტკბილი ენა!.. აგერ ტყემაც გაიღვიძა, შრიალებს და რაცდას ხარობს, კოდალა ხეს უკაკუნებს, და მწყერ-ჩიტა ცაში გალობს! მინდორი და ველი ჰყვავის, ნამი ბზინავს ათას ფერად, მზემაც თვალი გააჭყიტა. ამოვიდა მათ სამზერად... ჭინჭველები ველს მოედნენ, თითქოს რაღაც ჯოგიაო, მოლალურიც გაიძახის მაღლა: “ბიჭო — გოგიაო!..” ჭია-ღუა სარჩოს ჰზიდავს, რომ

გაივსოს თავის ბინა, და ფუტკარიც მიზუზუნებს ყვავილისკენ  
თაფლისთვინა!.. კაცი, მხეცი და ჩიტები — ყველა საქმეს ჰავიდებს ხელსა,  
მეთევზეა — ბადესა ჰშლის, და მუშაკი იქნევს ცელსა... წამოდექით,  
ყმაწვილებო, თქვენც ახსენეთ ღვთის სახელი, —  
როდის-და მომასვენებენ? ვერ შავესწრები მგონია, სანამ არ გამასვენებენ!..

1883 წ.

### თარის დაკვრაზედ

(კნეინა ანნა ზურაბის ასულს მაყაშვილისას)

შენ აღძარი ძველი სევდა, გულმან იწყო კვალად ძგერა, დაჰკარ, ქალო,  
დაჰკარ თარსა! გამაგონე სიმთა ჟღერა. ნუ თუ უშენოთ ვარგოდეს, ეგ  
ფუტურო თუთის თარი? ნუ თუ სენი არ განკურნოს — მსმენელს, ვინც კი  
ავათ არის? არ აღუძრას გულსა ღიმი, არ განფანტოს ოხვრის ზარი, თუ კი  
ამის მომქმედია, — წარმავალი რაღათ არის.

1886 წ.

### ღამის მეხრის სიმღერა

ბეზირგნის შვილი არა ვარ, არც არავისი ბატონი, ღამის მეხრე ვარ უბედო  
და იფნის სახრის პატრონი... ცუდ ვარსკვლავზე ვარ შობილი, მარტო  
ჯაფა მხვდა წილადა: კუმატ ღამეში ხარ-კამბეჩს დავდევ, ვაძოვებ  
ფრთხილადა. ორი დღის ალო მერგება მე ჩემი ჭირნახულისა, და იმედი  
მაქვს გუთნისა, იმისგან გადახნულისა... გუთანო, ქრისტეს  
ნაკურთხო, ღრმად გაუარე კვალია, რომ შემოგვნატროს სუყველამ,  
მგზავრს ჩვენზე დარჩეს თვალია. შენი იმედით ცოცხალვარ, რომ შენით  
ვჭამო პურია, შენა გმსახურობ, შენც მენა საქმე გამიწყე ძმურია; გადააშავე  
ყამირი. აღარ აივსოს თივითა, გაუსვი სახნის-საკვეთი ნალესი  
ალმასივითა... გაჰკარ, გაუსვი, — რას უცდი? ლამის მზემ გადაიხაროს,

გაუსვი, გუთნის-დედისამც ცოტა რამ გულმა იხაროს!.. ჭირიმე შენი, გუთანო, ნაკურთხო ქრისტეს ჯვარითა, არ მიღალატო, კვნესამე, ბედ-შავ არ მომკლა ჯავრითა!..

1886 წ.

რაზე მიწყრები, ყენო?

(წარსული საუკუნოების ამბავი)

რაზე მიწყრები, ყენო? — ვიბრძოდი ქართვლის ჯარშია, დღეს შენი ტყვე ვარ, ხელთ დაგრჩი, რა კი დავიჭერ მხარშია... მამულისათვის ვიბრძოდი, რაში შემწამე ღალატი?.. შენი რა მმართებს, ყენო, თავს რომ მადგია ჯალათი?. მე სჯულისათვის ვიბრძოდი, სხვა რა შემწამე ავია?.. სჯულს არ შევიცვლი, ყენო, არ მოკვდეს ჩემი თავია. ამისთვის — თუ კი გგონია — მენა ვარ მოსაკლავია, “თავი მომთხარე კისრიდგან”, მომჭერ ფეხი და მკლავია, მაგრამ ყელს გიწევ, ყენო, — შენი შვილების ლხენასა, — ისმინე ჩემი ვედრება: დღეს მე ნუ მომჭრი ენასა, — მინდა მოკითხვა შევთვალო, ვილაპარაკო ქართული, ვადიდო იესო ქრისტე, სჯული ენასთან შართული.

1882 წ.

რას შემომცქერი, მმობილო?

რას შემომცქერი, მმობილო? ოფლში ვარ გაწუწულია? ნუ გიკვირს, მენა ჯაფაში არ გამტეხია გულია... რაც ვიყავ, ისევ ისა ვარ, მიდგას მე კარგი ყანები, გლეხად დამბადა მე ღმერთმა, — იმასამც ვეთაყვანები. რად გიკვირს, მმაო, შენ ჩემი დაკორძებული ხელები? ცულს და ბარს მოვაქნევინე, ვგრიხე და ვგრიხე წნელები. ყინვაში, მიწის ბრძოლაში ზოგჯერ არც დამიბანია, გინდა შანთს ავალებინებ, არც კი ამეწვას კანია. რად მაძლევ? არას მარგია მე შენი ხელთათმანები, საბუხარს არა ვჩვეულვარ, რას მარგებს მაგისთანები? რად გიკვირს, მმაო, შენ ჩემი

დაწყლულებული ფეხები? ეკლებში დავალ ყოველ დღე და ტყეში დავეხეტები. რად გიკვირს ეს ბალნიანი გადაღეღილი მკერდია? გუთნით და ნამგლით ვიბრძოდი, შავს მიწას შევაბერდია. ქარმა და ყინვამ, მზე-წვიმამ არ ამიქცია გვერდია,

არ შევეპოვე მეც იმათ, გულადად გაუჩერდია. რად გიკვირს, მმაო, შენ ჩემი აქეცებული კისერი? ქედი ამომწვა მზე-ყინვამ, ლაპლაპებს როგორც გიშერი. რას შემომცქერი, ძმობილო? ოფლში ვარ გაწუწულია, ნუ გიკვირს, მენა ჯაფაში არ გამტებია გულია. რაც ვიყავ ისევ ისა ვარ, მიდგას მე კარგი ყანები, გლეხად დამბადა უფალმა, — იმასამც ვეთაყვანები...

1884 წ.

### გოგოს ჭირიმე

(მეურმის სიმღერა)

გოგოს ჭირიმე, გოგოსი, ჭირიმე ერთად-ერთისა, პაწა გოგოსი, დილის მზის, ჭირიმე იმის ღმერთისა! გოგოს ჭირიმე, გოგოსი, ჭირიმე ლერწამტანისა, ფუნთუშა, ძუძუ-კოკობის, ჭირიმე გულ-წამტანისა! გოგოს ჭირიმე, რომ ღუის, როგორც რომ თურაშაული, პირს რად მარიდებს, იმასთან რა მაქვს მე დანაშაული?!

გოგოს ჭირიმე, გოგოსი, ჭირიმე იმის გულისა, იმის ჟუჟუნა თვალების, კალამით დახატულისა!.. რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, არ მეკარება გოგონა... სხვის დანიშნული თუ არი?.. მე კი... მე — ჩემი მეგონა!.. ნუ მკლავ, გოგონავ, წყეულო, ნუ ამარიდე პირია, თავი რომ მკერდზე მოგანდო, შენთვის რა გასაჭირია?! ნუ მომკლავ დედის-ერთასა, ღმერთი იწამე, წყეულო, ნუ მომკლავ, გოგოვ, ნუ მომკლავ, ჩემს გულში შამოჩვეულო!..

1885 წ.

## კავკასია

რას ვხედავ უზარ-მაზარსა? შავსცქერი დადუმებული, ცას ესწორება თხემებით მთა, მთაზედ აკიდებული! აქ ლოდი, სიპი, პიტალო სატანას მოუთრევია, კაჟი, ქვა, ქარწბი, კირვალი შეუძრავს, შეურყევია. ასვრილა მიწა კენჭებში და გოხის მონანგრევია, ესენი ნუ თუ ჯოჯოხეთს ურთერთში აურევია! მთა-მთაზე, გორა-გორაზე

შეუსვავს, დაუკვერცხია, მზეს უხრავს მათი გვერდები, ნიაღვარს ჩაურეცხია! მოჰეთმიათ ნაძვის ძაგარი, სპეტაკის ჩადრით მოსილან. მათი ხევ-ხუვი ღრადონიც, ვეჭვ, ქარ-გრიგალმა მოჰეთმია! აგია კავკასიის მთა, ტურფა და დიდებულია. ვაქო, ვით ვაქო, რომ ენა ოცნებისაგან ბმულია?!.. ეს საოცრება რამ შეჰქმნა? ამართა ვისმა ძალამა? ცას ვინ ამოყვრა ვეშაპი, ან წარღვნამ რად არ წალამა?.. ქედს ვუხრი კავკასიასა, დიდებულს — ჩემგნით დიდება!

ქედს ვუხრი, რადგან სულს და გულს თავისკენ მიეზიდება! უმზირეთ! კავკასიის მთანი ცის კამარასა სწვდებიან, ყინვარის ჯავშნით მოსილნი, ბარს დანთქმას ემუქრებიან! ახლავან ორბნი, არწივნი, ჯიხვებიც ეხიზნებიან, და ხშირად შავნი ღრუბელნი მოჰებურვენ, ესტუმრებიან; მაშინ ელვანი მრისხანედ გრგვინვენ და იკლავნებიან, მათ ჭექა-ქუხილს კლდე-ღრენიც საზარლად ეძრახებიან! ინათებს, დილის მზის სხივზე ღრუბლები აიყრებიან, აქ დაბერტყავენ კალთებსა: —თვალ-მარგალიტი ჰკრთებიან! შეჰქურებ, თხემნი კავკასიის ისევ სპეტაკად ჩნდებიან და მედიდურნი, ტურფანი ლაჟვარდს ცას ებჯინებიან!

1886 წ.

## სურათი

(სოფლის ცხოვრებიდამ)

ცხელა და ცხელა, პაპანებაა, ქოხის წინა ზის ყმაწვილი დედა, პაწია ბიჭი,

ჩჩვილი ფუნთუშა ხელს უცაცუნებს ძუმუებზედა... “აქა მამილო!” — სთქვა კიდევ დედამ. — დედა იძახის შვილის მაგივრად; მაგრამ “მამილო” ჯერ არსადა სჩანს, ის სამუშაოდ წასულა მინდვრად... “აქა მამილო!” — სთქვა კიდევ დედამ. — თან მოიტანე ბევრი კაკები”... გულში კი ჰერიქობს: — “სად, რას მუშაობ, პაპანებაში რას იკაკვები”... მზემ გადიხარა, დაჰბერა სიომ, აგერ გამოჩნდა მუშა მაშვრალი, ხვითქი გადასდის გულ-გაღელილსა და ახალუხიც არ მოსდევს მშრალი. თავზე წაუკრავს ნარმის ნახევი, მოდის, ღიღინებს დაბალს ხმაზედა, მოდის ამაყად, მჭრელი ნამგალი გადაუდვია მოღლილს მკლავზედა... წინ მიეგება ყმაწვილი ცოლი და მიაწოდა გიგლა მამასა, იმანაც შვილი ოფლიანს გულში მაგრად ჩაიკრა და ჰკოცნის მასა! გიგლამ უტაცა მამას ულვაში, ლოყაზედ თათი მოუცაცუნა; მამას იამა შვილის ცელქობა, ულვაშის წიწკნა არ დაუწუნა... დაჯდა მაშვრალი დერეფანშია, გვერდით მოიდო მჭრელი ნამგალი, ამაყობს ცოლით, ამაყობს შვილით, ამაყობს, რომ აქვს ბევრი ნამკალი... ცოლმა მოართო მჭადი და წყალი, გიგლა ჩააკრა “კაკანაშია”, გვერდით მოუჯდა ქმარსა და შვილსა, მათის ყურებით განცხრომაშია!..

1882 წ.

## აღზევანს წასვლა

მარილზედ მივლენ ბიჭები, დარდი არა აქვთ გულშია, ურემი მისდევს ურემსა, შოლტების ტყლაშა-ტყლუშია!.. ნაცადი ბიჭი მიუძღვის, ტკბილად დამღერის ხარებსა, ჰფიქრობს, მოივლის აღზევანს და ცოლ-შვილს გაახარებსა. “აღზევანს წავალ მარილზედ, მარილს მოვიტან ბროლსაო, გაუწი, შინდავ გიშერას, რადა ღალატობ ტოლსაო? გაუწი, ქედის ჭირიმე, გიშერა ცოდო ხარია, უშველე, ნურას ცუდლუტობ, ტოლს დაუჭირე მხარია... ურემი, ჩემი ურემი, გამყოლი არის ხარისა, არ ეფიქრება კლდე-ღრისა... აღზევნის მთა და ბარისა... ღერძი უდგია წიფლისა, გასაპნულ-გაპოხილია, ზედ თვლები ნიგვზის მორგვებით გახეშილ-გაჭედილია; უბე გავაწყე ლართხებით, დანდლებით გადაბმულია, ისე გაუძლებს ასს ქვასა, არსად დასჭირდეს ცულია. თვლები დავკვერცხე, რა თვლები, გრგოლივით ჩამოსხმულია, ჯაგ-რცხილის ფესვებს მოვკიდე სოლებად იფნის გულია... გინდ გავატარებ თოკზედა, არ მოკვდეს ჩემი თავია!.. გაუწი, შინდავ, გიშერას, ნუ სცრუობ, ნუ ხარ ავია!.. აღზევანს მივალთ მე და შენ, როგორ არ გაგვიხარდება, ლოკე და ლოკე მარილი, არავინ გაგიჯავრდება... შენ რაღას ხვნეში, ნიკორავ? ღონე თუ გამოგლევია? ეშმაკობ თორემ ჯერ ირმას შენთვის არ დაუძლევია!.. აღზევანს წავალ მარილზედ, მარილს მოვიტან ბროლსაო, ჯერ დედას გადავეხვევი, მერე შვილსა და ცოლსაო!”

1883 წ.

## ზაფხული

გაზაფხული გაგვიფრინდა, გაითოხნა სიმინდები, თივა დადგეს, ანეულსა დასდგომია ამინდები. აგერ, აგერ ყანებშია “ჰოოპუნას” იძახიან, ჩამოგვიცხა, ჩამოგვიცხა ქერს მორჩნენ და პურსა მკიან. მტრედი, გვრიტი და ქედანი იქ ირევა ნამჯაშია, მაგრამ მომკლებს ვინ აჯობებს მღერასა და გარჯაშია! შახე იმ ერთს, გულ-გაღებულს,

თავზე ქუდი არა ჰელსახოცი შუბლს წაუკრავს, დასძახის და ოფლში სცურავს! შახე ერთი მეთაურსა, შახე იმის ნამგლის ტრიალს, ყური უგდე მუშის გუგუნს, ყური უგდე იმათ გრიალს!.. აბა შახე, რა ერთგულად ყველა ყანას ეტანება... მღერიან და კიუინებენ, “ჰოოპუნას” იძახიან, ჩამოგვიცხა, ჩამოგვიცხა, ქერს მორჩნენ და პურსა მკიან... ყველა ცდილობს მეტი მომკოს, ეჯიბრება აქ ძმა ძმასა, იძახიან: “ულო, ულო!” მეძნეური უკრავს ძნასა. მღერიან და კიუინებენ, “ჰოოპუნას” იძახიან, ჩამოგვიცხა, ჩამოგვიცხა, ქერს მორჩნენ და პურსა მკიან. რიგი მიაქვთ საძნე ურმით, რიგსა ჰლეწენ სოფელშია. წვრილ-ფეხობა კევრზედ უდგა, ხარი ხვნების უღელშია... ქალი, კაცი, გოგო, ბიჭი, ეზიდება ზამთრის სარჩოს, — ვაშა, ვაშა მუშა ხალხსა, ღმერთმა იმათ გაუმარჯოს!..

1881 წ.

რას ერჩი მაგ ბიჭს, თათარო?

(თემურლენგის დროების)

რას ერჩი მაგ ბიჭს, თათარო? — ხომ ჰედავ დაკოდილია? მამულისათვის იბრძოდა, რადგან მამულის შვილია... რაზე ატყავებ, წყეულო? — აგერა ვყევარ ძმობილი!.. — დასხლტა ისარი ფრთიანი — გაგორდა თათრის შობილი! შენ რაღას ერჩი მაგ ქალსა, რაზედ აწვალებ შანთითა... სჯულს ხომ ვერ შეაცვლეინებ, თუ გინდ დამდუღრო ნავთითა... რაზედა სტანჯავ, წყეულო? — აგერა ვყევარ ძმობილი!.. — იჭექა ზეცით — დაეცა თათარი პირდამხობილი!.. შენ რაღას ჰკუწავ, თათარო, ბალღებსა უსუსურებსა? ნეტა ვიცოდე, მაგათს სისხლს მაგრე რა მოგაწყურებსა?.. ხელი შეაღე, წყეულო!.. რადა ხარ დაუნდობელი?.. — დასხლტა ისარი — და წაწყმდა უსჯულო შეუნდობელი!.. აგრე იბრძოდნენ ქართველნი მამულისათვის, სჯულისთვის, ეწამებოდნენ ქრისტესთვის, თავისუფლების გულისთვის!..

1881 წ.

### მევენახის სიმღერა

ვაზის ჭირიმე, ვაზისა, უფლისგან კურთხეულისა, წითელი ღვინის დედაა, გამხარებელი გულისა!.. ვაზო, შვილივით ნაზარდო, ულვაშებ გადგიგრებია, ჩაჰონებიხარ ჭიგოსა, შუაზე გადგიტებია... თუ დაგიზურგავს ყურძნითა, ვერ გაუძლია ბეჩავსა... რად არ ამკიდე, ვზიდავდი, არ დავზოგავდი მე თავსა!.. ჭირიმე შენი ფესვისა,

მოვკვდები მე შენს ძირშია, შენით ვარ მხნე და გულადი, იმედით გასაჭირშია! შენი ზედაშის მადლს ვფიცავ, შენ არ მოგაკლო ბარია, გაგსხლა, შაგყელო, გაგთოხნო. არც კი ჩნდეს მონათხარია; გაგფურჩქნო, გაგალამაზო, როგორც რომ პატარძალია, აღარ დავზოგო მე შენთვის ჩემი ღონე და ძალია... ვაზის ჭირიმე, ვაზისა, უფლისგან კურთხეულისა, წითელი ღვინის დედაა, გამხარებელი გულისა!..

1886 წ.

### მეცხვარე თრიალეთზედა

ცხორი ავდენე შირაქით თრიალეთისა მთაზედა, მეც მოქანცული, მოღლილი, ჩამოვჯე ჩემდა ქვაზედა, თვალ გადავავლე მინდვრებსა, თვალ არ გადასწვდა განზედა, ტურფად სჩანს აქით მთა-ველი უკეთ სხვა ქვეყანაზედა... გალაღდა გული, გალაღდა, ჩოლი ბარისგან სნეული, აქებდნენ თრიალეთის მთას, კარგი ყოფილა, წყეული, აქ მწვანედ ღელავს ბალახი,

ჰჭრელავს ყვავილი რჩეული, ხმაც ისმის ხარი-ირმისა, გაჰყვირის გადარეული!.. ცოტათ მცხა, მაგრამ ნიავი მეხვევა, მკოცნის გულშია, ბროლივით წყარო წყურვილს ჰკლავს, მზეს ჰფერავს ნაკადულშია, ცხორი მაძღარი დაყრილა, იცოხნის, პაწა რულშია, ნავარდობს ბიჭა-ბატკანი... მიყვარს, ჩავისომ სულშია!.. აღარ მწადს, აღარ, შირაქი, არ მიყვარს მე იქ ტრიალი, მინდვრები იქაც ბევრია, მაგრამ ჩოლია ტიალი,

ბალახს ხან თოვლი წასთელავს, ხან ზედ ცეცხლს გააქვს პრიალი. მაშინ უყურე მწყემსის ჭირს, ცხვარმა რომ შექმნას ზრიალი!.. არ მინდ შირაქის შავი ხე, ქარქვეტა, ბროწეულია, წიწმატ-ბოლოკი, კაპარი, თუთუბო მოწეულია, გინდ მომცე ხირიმის თოფი, ქამარზე მოწეულია, თუ ჩემზედ ბედი მუშაობს, ყისმათი მოწეულია... რა მმართებს იორ-ალაზნის! მათ ჩემი ცოდვა ჰკიდია: ჩემი ბატკნები რამდენჯერ მტკვრისათვის ჩაუზიდია; ვერსად გაუხვალ იმ ოხრებს, არსად არ უჩანთ ხიდია; არც მეზობლები უვარგან, — ბევრი ქურდი და ფლიდია!.. ჭირიმე თრიალეთისა, ეს არის ჩემი სულია, კალმახი იცის ოქროსი, დაწინწკლულ-დაჩითულია, ყველს მაძლევს, მატყლსა საჩოხეს, რად მეჭირვების ფულია?.. მე უფულოდაც დღე და ღამ მიმღერის ლალი გულია!..

1886 წ.

### სამშობლო ხევსურისა

სადაც ვშობილვარ, გავზდილვარ და მისროლია ისარი, სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი, სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, — ჩემი სამშობლო ის არი. არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!.. მე მირჩევნია შავი კლდე. თოვლიან-ყინულიანი, ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქარით გადმოჰქუხს ბროლი წყლიანი. ჯიხვი და არჩვი მეყოფა, ხორცი აქვს მარილიანი... არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!.. ბარად რომ ვიყო ლაღადა, სული მთისკენვე იხარის. სალი კლდე ანდამატივით გულს სულ იქითკენ იხარის, იქ მიჯობს შავი სიკვდილი, ბარში სიცოცხლეც იმწარის!.. არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!.. ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია, სასახლე ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია, არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია... არ გავცვლი

სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს  
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!.. სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების  
სხვაზედა, ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,  
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა... არ გავცვლი სალსა  
კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა  
ქვეყნის

სამოთხეზედა!..

1881 წ.